



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №80

2014 წლის 10 ოქტომბერი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სკოლამდელი აღზრდის ცენტრის №1 ფილიალში ახალი გაზომმარაგების ხაზის სამუშაოების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის №1 ფილიალში ახალი გაზომმარაგების ხაზის მონტაჟის სამუშაოების შესასრულებლად დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 9918 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოების შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რომლის პროცედურებიც გარკვეულ დროს მოითხოვს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამინდის გაუარესება და ტემპერატურის კლება მოსალოდნელი, გათბობის გარეშე კი შეუძლებელი გახდება საბავშვო ბაღის ფუნქციონირება, აუცილებელია დროულად დაიწყოს და მოკლე ვადებში დასრულდეს გაზომმარაგების ხაზის სამუშაოების შესყიდვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შექმნილ ვითარებას გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას, რათა სკოლამდელი აღზრდის ცენტრის №1 ფილიალში გაზომმარაგების ახალი ხაზის სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, მე-16 მუხლის მესამე ნაწილის და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10¹ მუხლის მე 3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1) მისცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის №1 ფილიალში ახალი გაზომმარაგების ხაზის საჭირო სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2) განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.